# საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ და „საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონების პროექტების გამოქვეყნებისა და მათი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ და „საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონების პროექტები.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 22 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

**ლევან ბეჟაშვილი** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე);

**ზურაბ ადეიშვილი** – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი;

**დავით ბერძენიშვილი** – საქართველოს პარლამენტის წევრი;

**გიორგი ბოკერია** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

**ვალერიან გელბახიანი** – საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

**გია გეწაძე** – საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივანი;

**ოთარ ზოიძე** – დამოუკიდებელი ექსპერტი;

**მამუკა კაციტაძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი;

**კონსტანტინე კუბლაშვილი** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განვითარებისა და რეფორმების ფონდის დირექტორი;

**ნუგზარ მგელაძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი;

**ოთარ მელქაძე** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**ივანე მერაბიშვილი** – საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი;

**ირაკლი ოქრუაშვილი** – საქართველოს გენერალური პროკურორი;

**გიორგი პაპუაშვილი** – საქართველოს იუსტიციის მინისტრი;

**ედვარდ სურმანიძე** – საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე;

**დავით უსუფაშვილი** – იურისტი;

**გიორგი ცაგარეიშვილი** – საქართველოს პარლამენტის წევრი;

**ვლადიმერ ჭანტურია** – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;

**ივლიანე ხაინდრავა** – საქართველოს პარლამენტის წევრი;

**ჯონი ხეცურიანი** – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე;

**თინათინ ხიდაშელი** – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე;

**გიორგი ხუბუა** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

**საქართველოს პარლამენტის**

**თავმჯდომარის მოადგილე მ. მაჭავარიანი**

**თბილისი,**

**2004 წლის 18 მაისი.**

№49–Iს